საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1154
2025 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.05.2016, სარეგისტრაციო კოდი: 040150000.22.027.016638) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ^{2}“ ქვეპუნქტი:

„უ^{2}) ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის, ფუნქციონირებისა და განვითარების მიზნებისათვის საბაზისო და თემატური სივრცით მონაცემთა ნაკრებების შექმნა და აღრიცხვა საველე ტოპოგრაფიული, დისტანციური ზონდირების, კამერალური და სხვა შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით;“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ე.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ბ) მიწის რეგისტრაციის სამსახური;“;

ბ) „ი.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი.დ) უძრავი ქონების აგეგმვის სამსახური;“.

3. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ^{1}) ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის, ფუნქციონირებისა და განვითარების მიზნებისათვის საბაზისო და თემატური სივრცით მონაცემთა ნაკრებების შექმნა და აღრიცხვა საველე ტოპოგრაფიული, დისტანციური ზონდირების, კამერალური და სხვა შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **პაატა სალია**